



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31203301

თარიღი:25/11/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი

ქ.ლანჩხუთი 12. 00 საათი 20.11.2020 წელი

სხდომას გახსნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ – ვერიკო კვიციანიამ. სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე. არ ესწრებოდა: კახა ასკურავა.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.
დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვერიკო კვიციანია/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვერიკო კვიციანია/

3.სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3 წინააღმდეგი -0
დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1. **დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი, ხოლო საკითხზე განმარტებები მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ გააკეთა. პრიორიტეტების დოკუმენტი გარკვეულწილად იმეორებს წინა წლის ტენდენციებს, მაგრამ ვინაიდან არ არის შესაბამისი დაფინანსება და მუნიციპალიტეტის შემოსულობები ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს, დოკუმენტი ჩამოყალიბების პროცესშია. ფაქტობრივად საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმა თითქმის უცვლელია და იგი მოიცავს იმ პრიორიტეტების განხორციელებას, რაც დოკუმენტშია ასახული, სადაც ინფრასტრუქტურის განვითარება პირველ ადგილს იკავებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-3

წინააღმდეგი - 0

კომისიის წევრების მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიჩნეულ იქნა მომზადებულად უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი, მან აღნიშნა, რომ სოციალური და ჯანდაცვის კუთხით წარმოდგენილი ცვლილებები არის შედეგზე ორიენტირებული და მასში პროგრესული ნაბიჯები შეინიშნება, თუმცა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ წლებია ბიუჯეტის განხილვის დროს ერთი და იგივე მოთხოვნას აყენებს კომისია, „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა მომსახურების ცენტრის შექმნის თაობაზე, რაც მართალია გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა ამდენი წლის მანძილზე რომ გადადგმულიყო ქმედითი ნაბიჯები დღეს ეს პრობლემა არ იდგებოდა ისევე დღის წესრიგში.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტში წყალარინების საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მართალია გრძელვადიანი და გლობალური პროექტია, საკმაოდ დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული, მაგრამ აუცილებელია გადაიდგას პირველი ნაბიჯები, რაც გულისხმობს საპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებას, რაც ასევე წინა წლის ბიუჯეტის განხილვისას იქნა ნათქვამი.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემაზე, რაც გაუსაძლის ხდის მოსახლეობის გადაადგილებას, განსაკუთრებით covid 19 - პანდემიის პირობებში, ასევე გაუმართავი არის არსებული ტრანსპორტი, რომელიც სავარძლების რაოდენობითაც ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელს. ამ საკითხზე წლებია საუბრობს კომისიის თავმჯდომარე, თუმცა პრობლემა ისევ მწვავედ დგას. ვერიკო კვიციანიას აზრით მუნიციპალიტეტის ძალისხმევით და რა თქმა უნდა სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი ეს საკითხი გადაწყდეს.

კომისიის თავმჯდომარე წლებია აყენებს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების შესახებ საკითხს და ფიქრობს რომ აუცილებელია სპორტული კომპლექსის (სპორტსკოლის) არსებობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

რეალობაში, რადგან ყველა ის ნაბიჯი რომელიც იდგმება სპორტის განვითარების კუთხით უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, ვიდრე არის სპორტული კომპლექსის არსებობა, რადგან ახალგაზრდების სპორტული განვითარებისათვის უფრო მნიშვნელოვანი, კომლპექსური და შედეგიანი მრავალდარგობრივი სპორტული სივრცეა. როგორც ვიცით არსებობს სპორტული კომპლექსის პროექტი და აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რაც ყველა ლანჩხუთელის სურვილი იქნება. ისევ მწვავედ დგას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მაწანწალა ძაღლების პრობლემა და ამ კუთხით გამოყოფილი თანხები ბიუჯეტიდან, არის მხოლოდ ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივი ხარჯვა, რაც პრობლემას ვერ აგვარებს და მოსახლეობა რჩება ისევ უკმაყოფილო.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აუცილებელ საკითხად წამოჭრა თეატრის სახურავის საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია მომავალი წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის გათვალისწინება.

კომისიის წევრების მოსაზრებით, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 57-ე მუხლის შესაბამისად, ასევე საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის გათვალისწინებით მოხდეს დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ფონდის ფორმირება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შენიშვნების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-3

წინააღმდეგი - 0

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა, გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით გადაეცეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად შემაჯამებელ დასკვნას გადაუგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს. პატივისცემით,

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
დასკვნა № 5

ლანჩხუთი

20.11.2020 წელი

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

დასკვნა:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიჩნეულ იქნა მომზადებულად უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.




დასკვნა :

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა, გამოთქმული შენიშვნებითა და რეკომენდაციებით გადაეცეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად შემაჯამებელ დასკვნას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

ვ. კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.11.2020 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვიციანი	11:59	
2	კახა ბოლქვაძე	11:57	
3	გოდერძი ქურიძე	11:58	
4	კახაბერ ასკურავა	